

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

**გასვლითი ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობა მოსწავლეთა
აღზრდისა და სწავლების პროცესში**

მედეა რურუა

თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

დოდო ბერძენი

თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ქართულსა და მათემატიკაში ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება არაფორმალურ გარემოში, ექსკურსიის ფორმატში. ავტორებმა, სიახლის თვალსაზრისით, სწავლების პროცესში ორი განსხვავებული პრინციპი შევიტანეთ - გაკვეთილი საკლასო ოთახს გარეთ და სხვადასხვა საგნის გაერთიანება/ინტეგრირება ერთ გაკვეთილზე. ამ უკანასკნელს, ცხადია, აქამდეც მუდმივად ვახორციელებდით საგანთასორისი კავშირის სახით, მაგრამ ამ კავშირებს, ჩვეულებრივ, განმარტავს ერთი საგნის მასწავლებელი. ამ შემთხვევაში კი, პრინციპულად ახალი მიდგომა განვახორციელებთ - გაკვეთილი ჩავატარებთ ორი საგნის მასწავლებელმა. მოსწავლეებისათვის ესეც სიახლე იყო. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი გაკვეთილის ჩატარების პროცესი და შედეგები, მოსწავლეთა მოტივაცია და პროცესში ჩართულობა და ის კონკრეტული, ფაქტობრივი ცოდნა და დამოკიდებულებები, რაც მოსწავლეებმა შეიძინეს ამ გაკვეთილის ამ ფორმატით.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული გაკვეთილი, მეთოდი, მათემატიკა, ქართული ენა.

ქართული ლიტერატურა და მათემატიკა - თანამედროვე მიდგომები

ქართული ენა და ლიტერატურა ბავშვის მშობლიურ ენაა, ამ ენაზე იწყებს იგი საუბარს. სწორედ მშობლიური ენაზე მეტყველებაა საფუძველი პიროვნების ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შეგრძნებისა. ამიტომ, მშობლიური ენის სწავლების გამართულობას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ფაქიზი სულის განვითარებისათვის. ქართული ენის სათანადო ცოდნა საფუძველთა-საფუძველია ყველა სხვა საგნის შეთვისებისთვის. სკოლის წარმატების უპირველესი პირობას სწორედ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისადმი უდიდესი ყურადღების დათმობა წარმოადგენს.

მათემატიკა ბავშვის ინტელექტუალური განვითარების, მისი შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მათემატიკასთან შეხება ადამიანს დაბადებისთანავე უწევს, პირველი, რასაც მის შესახებ ახლოებულ ადამიანებს აცნობებენ, ეს არის მასა და სიმაღლე. ციფრები პირველი ინფორმაციაა, რომლის მიხედვითაც მომავალ სრულყოფილ პიროვნებაზე პირველი წარმოდგენა იქმნება.

ყველა მშობელმა იცის, რომ მათემატიკის სწავლება აზროვნების განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობაა. მათემატიკაში წარმატებული მოსწავლის ლოგიკა სრულყოფილია, ის მართებულად აზროვნებს, წერს, მეტყველებს. ეს კი სხვა საგნებში წარმატებასაც გულისხმობს, მაგრამ ვაწყდებით პრობლემას, როგორ დავაინტერესოთ მოსწავლე მათემატიკით, როგორ დავანახოთ მას მისი შესწავლის აზრი და საჭიროება.

მათემატიკისა და ქართული ენის სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომები, ტენდენციები, მეთოდთა მრავალფეროვნება, ამ დისციპლინებს საინტერესოს, შემეცნებითს ხდის. მასწავლებლის როლი ამ საქმეში განუსაზღვრელია, მისი ფანტაზია და შემოქმედება პრაქტიკასთანაა მორგებული, მოსწავლეებიდან წამოსული იდეები, ინოვაციები, მოტივაცია მასწავლებელს ახალი აღმოჩენებისკენ უბიძგებს. ეს ამოუწურავი, უსაზღვრო ფენომენია. მომავალი გენიოსები, პიროვნებები შენს ხელში იბადებიან და სამყაროს საინტერესოს ხდიან.

ზოგიერთ საკითხს განახლება და ახლებური მიდგომა სჭირდება

რეფორმასა და სიახლეში არ იგულისხმება მხოლოდ ძირეული, მთლიანი გარდაქმნათა აუცილებლობა. რეფორმა, ასევე გულისხმობს ზოგიერთი საკითხის განახლებას, ახლებური მიდგომას. მათემატიკაში არის საკითხები, რომლებსაც ადამიანი საუკუნეებია მიჰყვება. ამგვარი საკითხების შეცვლის აუცილებლობა, საჭირო არ არის. მოსწავლემაც ყველა ნაბიჯი მათემატიკაში თანმიმდევრულად უნდა გაიაროს. მათემატიკის სწავლებაში გამოცდილების გაზიარების მიზნით, ფოთის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებლები სტაჟირებით ვიმყიფებოდით შვედეთში გაცვლითი პროგრამით. აღუნდას სკოლამ და ფოთის პირველმა საჯარო სკოლამ, სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, გადაწყვიტა თანამშრომლობა.

სტაჟირებით ისინიც გვეწვივნენ, ნახეს ჩვენი გაკვეთილები, მეთოდები ძალიან მოეწონათ. ჩვენც გავიზიარეთ ის ღირებულებები, ფასეულობები, რაც მათ აქვთ. ამ თანამშრომლობის შედეგად, ზოგიერთი რამ გადავალაგეთ, გადავავასეთ და ვცდილობთ, რაც მოსაწონი და მისაღებია, დავნერგოთ მათემატიკის სწავლებაში.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ჩვენს ფესვებში არის ისეთი ტრადიციები, რომელიც ქართველობას განასხვავებს სხვა ერებისა და ტრადიციებისაგან. ჩვენი მოვალეობაა სიახლეები საკუთარ გამოცდილებას მოვარგოთ, გარდავექმნათ, განვაახლოთ და მივაწოდოთ მოსწავლეებს.

შვედეთში ვიზიტისას დავესწარი სკოლის ეზოში ჩატარებულ მათემატიკის გაკვეთილს. მოსწავლეები ინიშნავდნენ ატოსადგომზე ავტომანქანების რაოდენობას, ჯგუფის ზოგიერთი წევრი გამვლელ ავტომანქანების რაოდენობას ითვლიდა. მსჯელობდნენ, ადგენდნენ სტატისტიკას, მივხვდი როგორი მრავალფეროვანი გარემოც არ უნდა შესთავაზო მოსწავლეს სასკოლო ოთახში, ფორმალურ გარემოში შექმნილი ცოდნა და განვითარებული უნარები მაინც არ არის საკმარისი, იგი ლიმიტირებულია. ბუნებრივ გარემოში შექმნილი ცოდნა მნიშვნელოვანია, როგორც კლასში გამოყენებული სასწავლო მეთოდები. გართობის და დასვენების დროს ახალ ცოდნას, უნარ-ჩვევებს გაცნობიერებლად იძენენ, უვითარდებთ გარემოსადმი სწორი დამოკიდებულება. ამ გამოცდილების გაზიარებით, ვთხოვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ერთად დაგვეგეგმა გაკვეთილი. დავგეგმეთ ქართული ენისა და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება სკოლის გარეთ, არაფორმალურ გარემოში - სოფელ ჭყვიშში, რადგან იქ დიდი საგვარეულო ნათესაობა გველოდებოდა, გველოდებოდა ორი ბუმბერაზი პოეტი- გალაკტიონი და ტიცვიანი. შევეცადეთ დაგვემიღო სასწავლო შენეცნებითი ვიზიტი საინტერესო და საგანმანათლებლო ღირებულების მატარებელი ყოფილიყო, საგანთა ინტეგრირებით გაკვეთილს ის ღირსება შევძინეთ, რომ ეს ცოდნა მრავალმხრივი და კომპლექსური გახდებოდა. მოსწავლეებს წინასწარ გავაცანიტ თემატიკა, მიზანი ავუხსენით დათვალეობებისას რისთვის მიექციათ განსაკუთრებული ყურადღება. ვთხოვეთ ჰქონოდათ კალმები და სამუშაო ფურცლები. მოსწავლეებმაც სიხარულით აიტაცეს გამოწვევა და ცოდნა დიდი პოეტების ლექსის სტროფებითა და და მათ ლექსებზე დაწერილი სიმღერებით დაგვიდასტურეს. გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებს დიდ საგანმანათლებლო გამოცდილებას სძენს.

სიახლის თვალსაზრისით, სწავლების პროცესში ორი განსხვავებული პრინციპი შევიტანეთ - გაკვეთილი საკლასო ოთახს გარეთ და სხვადასხვა საგნის გაერთიანება/ინტეგრირება ერთ გაკვეთილზე. ამ უკანასკნელს, ცხადია, აქამდეც მუდმივად ვახორციელებდით საგანთასორისი კავშირის სახით, მაგრამ ამ კავშირებს, ჩვეულებრივ, განმარტავს ერთი საგნის მასწავლებელი. ამ შემთხვევაში კი, პრინციპულად ახალი მიდგომა გავახორციელეთ - გაკვეთილი ჩავატარეთ ორი საგნის მასწავლებელმა. მოსწავლეებისათვის ესეც სიახლე იყო.

ბუნებაში გატარებული ერთი საათი საუკეთესო გაკვეთილია

სანამ უშუალოდ ტიცვიანების სახლ-მუზეუმს ვესტუმრებოდით, ირგვლივ რიონის ნაპირებმა მიგვიზიდა, იქ გატარებული ერთი საათი დაუვიწყარია ჩვენი პატარებისათვის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

და იგი ასე გამოხატეს: ალბათ ტიცინი და გალაკტიონი ჩვენსავით ანცები და ტიტლიკანები დარბოდნენ და ერკინებოდნენ ერთმანეთს რიონის ნაპირებთან, შემდეგ გადაეშვებოდნენ მის მდორე ტალღებში და იქ ამთავრებდნენ სიყვარულით დაწყებულ კინლაობასო.

ორი დიდი ოჯახის გენიალოგიური ხე

მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად დავათვალიერეთ ორი დიდი პროექტის გალაკტიონ ტაბიძისა და ტიცინ ტაბიძის სახლ-მუზეუმი. ვნახეთ, რომ შვიდი თაობის შემდეგ ტაბიძეების ეზო საერთოა, არ არის გაყოფილი, ღობე არავის შემოუვლია, ერთ ეზოში ცხოვრობდა და ცხოვრობს ორი დიდი ოჯახი, ეს ქართული ტრადიციაა, ქართული ბიძაშვილობაა.

მოსწავლეებმა გიდის დახმარებით დეტალურად გაიცნეს ტაბიძეების გენიალოგიური ხის ისტორია. აუხსნესნათესავთა ურთიერთობები მაშინ და დღეს. სქემაც გასაგები გახდა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი დოდო ფრთხილად ერევა მოსწავლეთა საუბარში და უხსნის, რომ ტრადიცია ეს ძირძველი ფესვებია. ერის ისტორიაა და გადარჩენის გზა, რომ არა სიყვარული და ნათესაური კავშირები, საქართველო დიდი ხნის წინათ წაილეკებოდა ურჯულოების მიერ. შემდეგ ბავშვები ტაბიძეების მშვიდ ეზოში, მწვანე მინდორზე, გალაკტიონისა და ტიცინის ლექსების რიტმზე და სურნელზე გალაღებულნი წრეში ჩალაგდნენ და ცვიოდა ლექსები გააზრებულად თუ გაუაზრებლად, მაგრამ ცვიოდა. ბოლოს ყველა მაინც გალაკტიონის“ მამულით“ და ტიცინის „ლექსი მეწყერით“ ამთავრებდა. განა მარტო პატარები? დიდებიც, მასწავლებლები, დედები, ბებიებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ამით საუკეთესომაგალითი აჩვენეს ჩვენს პატარებს ზნეობის, სიყვარულის, თანადგომის და წინაპართა პატივისცემის. დაგეგმილმა გაკვეთილმა კალაპოტი გაარღვია და უკეთეს დინებას მიჰყვა, ისე ერთვებოდნენ დისკუსიაში აღნიშნულ საკითხზე, რომ დიდები საუბარში ჩასართველად მოხერხებულ მომენტს ვეძებდით

და მაინც აწვალებდათ კითხვები:

- როგორ უძღვებოდა გალაკტიონის დედა ოჯახს?
- ტიცინის ოჯახი შეძლებულია, გალაკტიონის ოჯახს უჭირს?

შემიყვარდა იასამნის ხე, აუცილებლად დავრგავ და გავახარებ

დაცურავდნენ პატარა ადამიანები ღრუბლებში პოეტებთან ერთად და ფიქრობდნენ : სოცოცხლზე და სიკვდილზე, სიყვარულზე და პოეზიაზე, წინაპრებზე და ტრადიციებზე, ბებიებზე და ბაბუებზე. ითვლიდნენ წლებს, გონებაში ადგენდნენ და ანგარიშობდნენ ადამიანთა ნათესაური კავშირების ხანგრძლივობას.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მოსწავლეებს ვესაუბრეთ თანამედროვე ფასეულობებზე, პირველი და მეორე მუხლის ნათესაობის შესახებ, ეს სტანდარტული არ არის ყველა ქვეყანაში. ვთქვით ბებია, შვილიშვილი, ბიძა, მამიდა, დეიდა ევროპის ბევრ ქვეყანაში მეორე მუხლის ნათესავია, ჩვენთვის კი უახლესი ადამიანებია, ოჯახის წევრებია. არავინ გვთხოვს ყველაფერი გადმოვიღოთ ჩვენთვის, ეს სიამაყე და ტრადიცია. ჩვენ თითქმის ყველამ ვიცით ბაბუას მამის სახელი.

შედეგზე ორიენტირება

ვთხოვეთ მოსწავლეებს ტაბიძეების გენიალოგიური ხის მიხედვით შეექმნათ საკუთარი წარმომავლობის გენეოლოგია. ეს იყო მონახაზი, რომლის მიხედვით ისინი კლასიფიკაციას გაკეთებდნენ ნათესავების, დაითვიდნენ წლებს თაობებს შორის, გაიხსენებდნენ სახელებს და დაუკვირდებოდნენ სახელთა ცვალებადობას ათეული წლების მიხედვით. მშობლებიც ხალისით იყვნენ ჩართულები, შვილები მათგან ინფორმაციებს იღებდნენ და სიამოვნებით ასრულებდნენ აქტივობას, რომელის მათთვის სასიამოვნო და სახალისო შესასრულებელი იყო.

ვიღაცამ მოულოდნელად წამოიძახა: რატომ არ უნდა ვიცოდეთ, დავაჯამოთ რა ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული ჩვენი ექსკურსია-გაკვეთილი, ეს მხოლოდ სახალისო მათემატიკისთვის. ვინ სად ჩამოჯდა, ვინ სად ანგარიშობდა, იხსენებდნენ ხარჯებს, ფიქრობდნენ, წვალობდნენ, უმატებდნენ და შედეგსაც ლეზულობდნენ ჩვენი პატარა მათემატიკოსები და ეკონომისტები.

ჩვენი ექსკურსია-გაკვეთილი სკოლის დამთავრების წინა დღეებში დაიგეგმა. საზაფხულო დავალებებიც წაიღეს ჩვენგან, ფიქრიც დროც ჰქონდათ, შედეგს სექტემბერი გვეტყოდა. ასეც მოხდა, გვიბრუნდებოდა გაცემული.

გაკვეთილზე უცნაური ჩოჩქოლი შევნიშნე, ყველა გოგასკენ იყურებოდა და რაღაცას ეჩურჩულებოდნენ, გოგამაც სასწრაფოდ ამოაცურა ფორმატი და მაგიდაზე დადო, ოცდახუთი თავი გადაეფარა ფორმატს, ოცდახუთი გაბრწყინებული თვალი და გახარებული გული, (გოგა ნაკლებად ერთვება საგაკვეთილო პროცესში, მიუხედავად მცდელობისა) მითხრა: “მე ჩემი გენიალოგიური ხე გავაკეთე“, ფორმატზე ულამაზესი დავალება იყო შესრულებული. რა კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება და მიზანთან ახლოს ხარ, აქტივობა დაუვიწყარი იყო მათთვის, თემაც გასაგები, ნათესავების ის სახელებიც გაიგეს, რომლითაც არ დაინტერესებულან დღემდე. გალაკტიონი და ტიცციანი უფრო ახლობელი გახდა მათთვის, მშობლებიც ჩაერთვნენ ჩვენს მუშაობაში და ყველაზე მნიშვნელოვანი - გოგას გაუჩნდა სურვილი დამოუკიდებლად ემუშავა დავალებაზე ისე, როგორც არასდროს.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ვითვალისწინებ ფსიქოლოგის, ქალბატონი ქეთევან ოსიაშვილის რჩევას „სახალისო მათემატიკა ნიღბავს იმ მათემატიკას, რომელსაც ბევრი ძალიან მშრალ, უინტერესო ცხოვრებისაგან ძალიან დაშორებულ მეცნიერებად მიიჩნევს“

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი შედეგზე ორიენტირებაა, მასწავლებლის წინაშე ახალი გამოწვევებია ცოდნა მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამური და ფუნქციური უნდა გავხადოთ. სასწავლო პროცესი მოითხოვს სწავლა-სწავლების შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვას: ცოდნის კონსტრუირებას, გაღრმავებულ სწავლებას, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, მოტივაციის ამაღლებას, მოსწავლეთა ჩართულობას, ინდივიდუალური მახასიათებლის გათვალისწინებას, ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. ამ გაკვეთილით თითქმის ყველა პრინციპს შევხებით, რომ ჩვენი თითქოსდა უინტერესო და მშრალი მათემატიკა, საინტერესო გამხდარიყო, ხორცი შეგვესხა მისთვის.

ჩემი მოსწავლეებისთვის მათემატიკის გაკვეთილი არ არის მოსაწყენი და მონოტონური, ის სიახლეებით სავსე და საინტერესოა. კანონზომიერებას ვეძებთ რიცხვებში, სილამაზეს სიმეტრიაში და როცა მას პოეზიის სიტყვის ეშხი ალამაზებს, იგი კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესოა მოზარდისათვის, რადგან : „პირველად იყო სიტყვა და იგი იყო ღმერთი.“ მათემატიკასთან ინტეგრირებით კი სამყაროს საოცრებათა თანამონაწილე ხდება. უსასრულობასთან პირველ შეხვედრას აქ ეზიარნენ, აქ დაეხადათ, აქ აღმოაჩინეს და აქედან ივლიან სამყაროს უსასრულობისაკენ ახალ-ახალი აღმოჩენებისა და მწვერვალების დასაპყრობად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა.
2. გზამკვლევი მასწავლებლისთვის. 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.
3. მათემატიკის სახელმძღვანელო მე-6 კლასი. ავტორები: ვეფხვაძე, გოგიშვილი.
4. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო მე-6 კლასი ავტორები: ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი, თინათინ კუხიანიძე.
5. ინტერნეტ გაზეთი-მასწავლებელი „სასწავლო შემეცნებითი ვიზიტები ესკურსიების ნაცვლად“
6. გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე ლექსები. გამომცემლობა-ქართველი მწერლები სკოლაში